1890 წელსა, № 9 15 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

**შინაარსი:** მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებოდ.—მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.—საისტორიო მასალა.—წარმავალობა სიტყვისა ღმერთი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ.—სასარგებლო ცოდნა.—შეწირულებ.—განცხადება.

## მწყემსთა და სამწყსოთა საყურადღებოდ.

ისეთ წმიდა ადგილებს, როგორიც არიან ეკკლესიები, მონასტრები და სამლოცველო სახლები, სადაც ჩვენ ვევედრებით ღმერთს და სადაც სამღვდელოება აღასრულებს სხვა და სხვა საღმრთო წესთა,—ძველ დროში, უნდა გამოვსტყუდეთ, ჩვენი წინაპრები უფრო კრძალვით, მორიდებით და შიშით ექცეოდენ და უყურებდენ, ვინემ დღეს. მაშინ მთლად სავსე რომ ყოფილიყო ტაძარი და ტაძრის გარეშემო მლოცველებით—ისეთი სიჩუმე, მყუდროება და კრძალვა სუფევდა ყოველგან, რომ მლოცველთა ხმას ვერ გაიგონებდით. ამისთანა წმიდა ადგილების არემარეში არავითარს უწესო მოქმედებას, ლხინს, შექცევას და დროს ტარებას ვერ შენიშნავდით: ყველა ამგვარი საქმეების ჩადენა საღმრთო ადგილების მახლობლად დიდ ცოდვად მიაჩნდათ. ეს ამიტომ, რომ მაშინ ქრისტიანეთ გულში სარწმუნოება და ღვთის სიყვარული უფრო ცხოველი იყო: ღვთის შიში და კრძალვა განუშორებელი ხელმძღვანელი იყო ყოველ საქმეში მაშინდელი ქრისტიანისა. მაგრამ დღეს რას ვხედავთ? სარწმუნოება, რასაკვირველია, დღესაც არ გამქრალა ხალხში, ქრისტიანები დღესაც ვართ, მაგრამ, საუბედუროთ, სარწმუნოებაზედ გული გაგვიგრილდა, ღვთის შიშმა, კრძალვამ და სიყვარულმა ჩვენში დაჰკარგა ძველი სიცოცხლე; გავგრილდით სარწმუნოებაში ისე, როგორც ყველა სხვა რიგიან საქმეშიაც. დღეს ბევრგან ჩვენი ეკკლესიები წირვა-ლოცვის დროს ან სულ ცარიელები არიან, ან და თუ ვინმეს გაახსენდა ღმერთი, ან სხვა რამ ამაო მიზეზით მიბრძანდა ეკკლესიაში, ლოცვის მაგიერ იწყებს ერთ ლაპარაკს, ხმაურობას და იქით-აქეთ თვალების ტრიალს. ან არა და მრავალი მათგანი ლოცვის დროს ეკკლესიის გარეთ დგანან, ან სხედან და თავს იქცევენ ჩვეულებრივის ამა ქვეყნიურს საქმეებზე ლაპარაკით და ლაზღანდარობით დიდ დღესასწაულებში, ან კვირაუქმე დღეებში ეკკლესიების და წმიდა ადგილების მახლობლად არ ერიდებიან არავითარ უწესო და უმართებულო ქცევას, ლხინს, ქეიფს და დროს ტარებას: მღერიან, ცეკვენ თამაშობენ და ჰყვირიან უმსგავსო სიტყვებს და სხვა... ყველა ამგვარი ჩვენი დღევანდელი ქცევა, რასაკვირველია, დიდად გვამცირებს და გვამდაბლებს ჩვენ როგორც სხვა დაწინაურებულ სარწმუნოების მოყვარე ხალხის თვალში აგრეთვე გვხდიან იმ ჩვენ წინაპართა წინაშეც დამნაშავედ, რომელთაც დიდის ტანჯვითა და მსხვერპლით დაცული გადმოგვცეს თავიანთი სარწმუნოება და ჩაგვაბარეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამერმისოდ ასეთივე კრძალვით შესანახავად და მომავალი შთამომავლობისადმი წმიდათ გადასაცემად.—

დროა ჩაუკვირდეთ ამ სამწუხარო მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენვე შეუდგეთ თავის გასწორებას, რომ პირნათლად წარვსდგეთ ჩვენ წინაპართა წინაშეც და სახელიც გავისწოროთ ქვეყნის თვალში, მაგრამ ამაზედაც ვინ ფიქრობს! ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგჯერ ხანჯლებიც გადატრიალდება ხოლმე ჩვენს ტაძრებში ზოგიერთ ადგილას..

მთავრობა აქ შემთხვევაში დიდს შემწეობას გვაძლევს: იგი წინადვე ხედავს, თუ რა უწესოება შეიძლება მოხდეს ჩვენში და ამ მხრით გვიწერს კანონებს და წესებს, რომელთაც უნდა ვემორჩილებოდეთ და რომლის დარღვევისათვისაც სასჯელი გვაქვს დაწესებული. თუ ღვთის აღარ გვეშინია, კანონის მაინც შეგვეშინდეს, რომელიც დასჯას გვექადის და არც ერთს ჩვენს უწესო მოქმედებას არ სტოვებს უყურადღებოდ..

არავის არ შეუძლია თავი გაიმართლოს კანონების უცოდინარობით, ყველა ვალდებულია იცოდეს კანონები და კანონების წინააღმდეგ საქციელს ერიდოს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ კანონების მცოდნეს ასში ერთს თუ მონახავთ. ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოვიყვანოთ ის კანონები, რომელნიც გამოცემულნი არიან ტაძრებში და მათ გარეშე ღვთისმსახურების დროს წესიერების დასაცველად.

აი ეს კანონები:

## როგორ უნდა განარიდონ და მოსპონ კეთილწესიერების დარღვევა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში.

ყველანი ღვთის ეკკლესიაში უნდა იდგნენ მართებულად და შედიოდენ ღვთის ტაძარში კრძალვით, ძალდაუტანებლივ (მუხ. 3).

ვინც ღვთის-მსახურების დროს დაიჭერს ადგილს, რომელიც საღმრთო მსახურებისათვის არის დანიშნული, ანუ შევა საკურთხეველში და აღარ გამოვა იქიდგან დაუყონებლივ, შემდეგ სამღვდელო პირისაგან დათხოვნისა, იგი ამისთვის ეძლევა სასჯელს, რომელიც დადგენილია 35 მუხ. სასჯელთა წესდებისა და რომელსაც გარდასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი (მუხ. 4).

ხატების წინ ისე უნდა იდგე, როგორც ამას მოითხოვს სიწმიდე და მართებულობა ადგილისა. (მუხ. 5).

ღვთის მსახურების დროს არ უნდა ლაპარაკობდენ, არ უნდა გადადიოდენ ერთის ადგილიდგან მეორეზე, და საზოგადოდ არ უნდა უშლიდენ მართლ-მადიდებელთ ღვთის-მსახურების ყურადღებით სმენას არც სიტყვით, არც საქმით, ან მოძრაობით, არამედ უნდა იყო შიშით, ჩუმათ, მყუდროთ და ყოველი პატივით და მართებულობით (მუხ. 7).

ღვთის-მსახურების დროს აღკრძალულია სასწაულ-მოქმედ ადგილთა და ხატთა მთხვევა, ხოლო ეს უნდა აღასრულონ ღვთის-მსახურების დასაწყისს ანუ ბოლოს. (მუხ. 8).

სამღვდელო პირნიც, თავის მხრით, აგრეთვე შთააგონებენ ქრისტიანეთა ღვთის-მსახურებისადმი ჯეროვანს კრძალვას, და, სრული წესიერების დაცვით, თვალ-ყურს ადევნებენ, რომ მყუდროება და წესი არ დაარღვიონ ღვთის ტაძარში მომსვლელთა. (მუხ. 11).

ეკკლესიებში წესიერებაზედ და მყუდროებაზედ დადგენილ წესდებათა დარღვევისათვის დამნაშავენი ქმნებიან 35 და 36 მუხ. ძალით ეძლევიან სასჯელთა, რომელთა მიუსაჯავენ მომრიგებელნი მსაჯულნი. (მუხ. 12).

შესახებ იმ შემთხვევათა ეკკლესიებში, რომელთაც ეხებიან მხოლოდ სასულიერო წოდების მართლ-მადიდებელ პირთა, როგორც მსჯავრი და სასჯელი გარდა სისხლის კანონებში აღნიშნულ შემთხვევათა, აგრეთვე ძიება სწარმოებს სასულიერო მთავრობის მიერ, სასულიერო კონსისტორიათა წესდებაში დადგენილ კანონთა მებრ (მუხ. 36). სამოქალაქო პოლიციის წევრი უნდა დაესწროს ამ ძიებაზე მხოლოდ როგორც დეპუტატი ერის კაცთა კითხვის დროს. თუ ვინიცობაა ბრალდებული უწესო საქმის ჩადენისა ეკკლესიაში არ ეკუთვნის სასულიერო უწყებას, მაშინ ატყობინებენ საერო უწყებას და სთხოვენ, რომ შედეგი აცნობონ. (მუხ. 13).

— საზოგადოდ შემთხვევებზე ეკკლესიებში ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მოახსენებს დაუყონებლივ უწმიდესს სინოდს და სინოდის ობერ-პროკურორს, რომელიც შედგენილს ამა მოხსენებათაგან უწყებებს მიართმევს უმაღლესად განსახილველად ყოველ ოთხი თთვის შემდეგ, ხოლო მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევებზე მოახსენებს მაშინვე. მაგრამ დამოუკიდებლად ამისა სამოქალაქო პოლიციის მხრითაც. (რომელსაც სამღვდელო პირებმა არ უნდა დაუფარონ არც ერთი შემთხვევა ეკკლესიაში) წარედგინება იმპერატორებითი უდიდებულესობას ვრცელი მოხსენებანი (გუბერნატორების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში და მის უდიდებულესობის საკუთარის კანცელარიის მესამე განყოფილებაში) მძიმე შემთხვევებზე ყოველ დროს, ხოლო შესახებ სხვათა იმ ვალებზე, რომელნიც დანიშნულია საზოგადო გუბერნიის დაწესებულებაში. (მუხ. 14).

**კეთილ-წესიერებაზედ ეკკლესიის გარეშე ღვთის მსახურების შესრულების დროს.**

პოლიცია თვალს ადევნებს, რომ ეკკლესიების ახლოს, განსაკუთრებით ღვთის-მსახურების დროს, არ იყოს ქუჩებზე ყვირილი, ჩხუბი და საზოგადოდ არავითარი უწესოება. (მუხ. 15).

**შენიშვნა:** აღკრძალულია კარვების გაკეთება სანოვაგეთა და სასმელთა გასასყიდლად ეკკლესიის გალავნებში და სასაფლაოებზე.

პოლიცია თვალს ადევნებს, რომ კვირე, ანუ დღესასწაულ დღეებში, ანუ ტაძრის უქმე დღეებში (მუხ. 27) ქალაქებში და სოფლებში, წირვის გათავებამდი სამრევლო ეკკლესიაში, არ დაიწყონ თამაში, მუსიკა, ცეკვა, სიმღერები სახლებში და ქუჩებზე, სათეატრო წარმოდგენანი და ყველა სხვა საზოგადო სახალხო შექცევა და მხიარულობა და სავაჭრო დუქნები (გარდა იმათ, სადაც იყიდება სანოვაგე და პირუტყვთა საკვებები) და სასასმო სახლები არ გაიღონ. (მუხ. 16).

**კეთილ წესიერებაზედ საღმრთო წესთა შესრულების დროს ეკკლესიის გარეშე.**

პოლიცია თვალს ადევნებს, რათა დაცულ იყოს კეთილ-წესიერება საეკკლესიო დღესასწაულთა, ჯვარით სიარულის, წყლის კურთხევის და მსგავსთა დადგინებულ წესთა აღსრულების დროს. (მუხ. 17).

**ლიტანიის დროს პოლიცია თვალს ადევნებს:**

1) რომ ქუჩები, სადაც უნდა გაიარონ, სუფთა იყოს, და მათზე გავლით არ შეაჩერონ, შეავიწროვონ და არ არიონ ჯვარით სვლა; ამისათვის გარდიგარდმო ქუჩებზე იგი აყენებს ყარაულებს და ადრე გამოაცხადებს ამას საყოველთაო საყურადღებოდ.

**შენიშვნა:** ადგილობითი სამხედრო ჯარიც აგრეთვე ეხმარება წესის დასაცველად საეკკლესიო წესების დაცვის დროს.

2) რომ ჯვრით სიარულის საყურებლად არავინ არ მოაწყოს საყურებლად სკამებიდგამ, ფიცრებიდგან, ძელებიდგან, ანუ სხვა რამედგან.

3) რომ სასმელების დუქნები დაკეტილი იყვნენ გარდა სანოვაგისა არავინ არაფრით არ ივაჭროს ჯვარით სვლის დაბრუნებამდე ეკკლესიაში.

4) რომ არავინ ამ დროს არ გაბედოს არავითარი ამბოხიერი დროს ტარება: ცეკვა, ცხენის ჭენება და არავითარი უწესოება (მუხ. 18).

წესიერების დარღვევისათვის ეკკლესიაში, ეკუტერში, ანუ სხვა სამლოცველო სახლებში უბრალო ყვირილით და ხმაურობით ანუ უწესო მოქმედებით, მაგრამ შეუბღალავად წმიდა ადგილთა, დამნაშავეთა აპატიმრებენ არა უმეტეს ერთის თვისა, ანუ ახდევინებენ ჯარიმას არა უმეტეს ასი მანეთისა.

სამლოცველო შენობათა გარეშე კეთილ-წესიერების დარღვევისათვის ღვთის-მსახურების დროს სახალხო მხიარულებითა და ლხინით, ანუ რაიმე უწესოებით, რომლებითაც აბრკოლებენ ღვთის-მსახურებას, დამნაშავეთა, როდესაც იმათ ამასთანავე არ შეუბღალავთ წმიდა ადგილი, აპატიმრებენ არა უმეტეს 15 დღისა, ან ხდებათ ჯარიმა არა უმეტეს 50 მანეთისა. იმავე სასჯელს მიეცემიან დამნაშავენი წესიერების დარღვევისათვის დიდ დღესასწაულებში.

**როგორ უნდა მოსპონ ანუ წინადვე შეუძლებელ ჰქმნან ცრუმორწმუნეობა?**

აღკრძალულია შობის წინა ღამეს და სრულიად შობის წმიდა დღეებში კერპთაყვანისმცემლური თამაშობა და უზნეო გალობანი და სიმღერანი.

აღკრძალულია ცრუ-წინასწარმეტყველება და ცრუ წინასწარმოსწავებანი.

აღკრძალულია თავის-თავის მკითხავად გამოცხადება და სხვა გვარი მოტყუებანი, რომელნიც დამყარებულნი არიან ამაოდ-მორწმუნეობაზედ, უმეცრებაზედ და მაცთურებაზედ.

არსად, არც ქალაქში და არც სოფელში ხატებით და სანთლებით ტაძრებისა და მონასტრებისათვის შეწირულების შესაკრებად მთავრობის ნებადაურთველად არ იარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სისხლის სამართლის წესდებულება, გამოცემული 1885 წელსა.

მუხ. 211. ვინც წინდაწინ განზრახვით თავისი ძალ-მომრეობითი მოქმედებით შეაჩერებიებს მღვდელ მოქმედებას საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ტაძარში ანუ მის გარეშე, მასს ამ დამნაშაობისათვის ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება და გაიგზავნება დასასახლებლად ციმბირის შორეულს ადგილებში. თუმცა ესეთი დამნაშაობა ჩაიდინა კაცმა სიმთვრალეში და არა გაიგებ განზრახვით, საზოგადოდ თუ დამტკიცდა, რომ კაცმა ჩაიდინა ხსენებული დამნაშაობა არა წინ-და-წინ განზრახულებით, მაშინ მას დასჯა უმსუბუქდება, ე. ი. მას ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება და გაიგზავნება ციმბირის არა შორეულ ადგილებში დასასახლებლად. ყოველ შემთხვევაში ასეთი დამნაშავე გარდა ხსენებული სასჯელისა, თუმცა იგი აღიარებს ქრისტეს სარწმუნოებას, ეძლევა ეკკლესიურ მონანებას მისი სასულიერო მთავრობის განკარგულებით.

მუხ. 214. ვინც უზრდელი და ცუდი სიტყვებით განზრახვით შეურაცხყოფს სამღვდელო მოსამსახურე პირთ ღვთის-მსახურების ასრულების დროს და ამით გასწყვეტს, ანუ შეაჩერებს ღვთის-მსახურებას, იგი ამ დანაშაულობისათვის ჩაისმის საპატიმროში ორი თვიდამ რვა თვემდე.

ზოგიერთებმა იქნება უადგილოდ დაინახონ ამ კანონების გამოცხადება, მაგრამ რამდენათაც ჩვენ ვიცით მწყემსთა და სამწყსოთა მდგომარეობა და ვითარება, საჭიროთ ვრაცხთ ეს კანონები გამოეცხადოს სამწყსოთა და განემარტოსთ მათ შინაარსი თითოეული კანონისა. ამ კანონების გამოცხადებას გვაიძულებს ჩვენ აქა-იქ მოხდენილი უწესო მოქმედება ზოგიერთ თავხედ პირთაგან.

ამ კანონებისგანვე ცხადათ სჩანს, თუ რამდენად ვალდებულია პოლიცია თვალ-ყური დაიჭიროს და არავინ მიუშვას უწესო მოქმედების ჩადენისადმი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სოფლებში პოლიცია სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ ზემო ხსენებული კანონების აღსრულებას და ისე არხეინად უყურებს ზოგიერთ პირთაგან ღვთის-მსახურების დროს ჩადენილ უწესო მოქმედებათა, რომ თუ გინდ ის სრულებით ვალდებულიც არ იყოს წესიერების დაცვისა. ხომ შევიტყვეთ, რომ კანონით აკრძალულია თავისთავის მკითხავად გამოცხადება. არ არის დიდი ხანი, რაც ჩვენ ვნახეთ ერთი გასაოცარი შინაარსის განცხადება გაკრული სვეტებზე და სახლის კედლებზე. აი ამ განცხადების შინაარსი: მთავრობის ნებადართვით ესა და ეს ახლად მოსული პირი მკითხაობს, ამა და ამ კაცის სახლში და ყველას ეტყვის წარსული დროის და მომავლის თავგადასავალს და მომავალ ბედს ერთ მანეთად. ამისთანა განცხადებანი, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთ გუბერნიის და მაზრის ქალაქებშიაც ვნახეთ!... .

დიდად სასურველია, რომ უმაღლესმა მთავრობამ სოფლის პოლიციის მოსამსახურეთა განუმარტოს ამ შემთხვევაში მათი მოვალეობა და პასუხის გება თავიანთ მოვალეობის აღუსრულებლობისათვის.

დეკ. დავით ღამბაშიძე.

## მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.

ღმერთო ჩემო! რამდენი მწარე ფიქრები დაიბადა ჩვენს გონებაში ამ ცოტა ხნის განმავლობაში. ამ მწარე ფიქრების საქვეყნოდ გამოთქმა, როგორც წინათაც გვითქვამს, რაღაცა ცოტა სალავათს აძლევს ჩვენს გულს და ამიტომაც ვისწრაფი, ჩემო საყვარელო მკითხველო, გაგიზიარო ეს ფიქრები. ძალიან ვსცდილობთ, ბევრ ზომებსაც ვხმარობთ, რომ თვალი მოვარიდოთ იმისთანა მოვლენათ, რომელნიც ჩვენში მწარე ფიქრებს ჰბადვენ და სიცოცხლეს გვიმოკლებენ, მაგრამ არ მოხერხდა და არ მოხერხდა იმიტომ, რომ, ღვთის განგებით, ჩვენი ცხოვრება ისეა მომართული, რომ სხვაზედ უფრო ჩვენს თვალს ეცემა ყველა ეს სამწუხარო მოვლენა, ჩვენთვის აშკარად გამოცხადებულია ის, რაც სხვისათვის შეუმჩნეველი რჩება. ნეტავი მას, ვინც რომელიმე მიყრუებულ სოფელში სცხოვრებს და მარტო დედა-მიწასთან აქვს საქმე. ასეთმა კაცმა არ უწყის ამა ქვეყნის წალმა-უკუღმა ტრიალი, შური და მტერობა, რომელიც ასე ფარფაშებს ზნე დაცემულ ხალხში,

მან არ იცის, თუ რა არის ორპირობა და ფარისევლობა, არ იცის უსინდისო მაბეზღარობა და ენატანიობა. ერთი სიტყვით, ასეთი კაცი მოშორებულია ზნე გაფუჭებული ხალხის სხვა მრავალ ცუდ თვისებათა.

ამტკიცებენ, რომ, როდესაც განათლება გავრცელდება, ხალხში ზნეობა ამაღლდებაო და ბოლოს მგელი და თხა, კაცი და ვეფხვი, შინაურნი და ველურნი ცხოველნი ერთად იწყებენ ცხოვრებას და მათში შურს და მტერობას ადგილი აღარ ექნებაო. კარგი მოგვეცესთ, ეს კარგი იქმნეს, მაგრამ მოვესწრებით კი ამ სურვილის განხორციელებას როდისმე? მოვესწარით იმ დროს, როცა ჩვენში პირველად აქა-იქ დაარსდენ სკოლები და მშობლებს ძალით ართმევდენ შვილებს სასწავლებლებში მისაცემად. იმ დროს მშობლები ყოველივე ღონეს ხმარობდენ და დიდ ქრთამსაც ხარჯავდენ, ოღონდ მათი შვილები არ წაეყვანათ სკოლებში მისაცემად. მოვესწარით იმ, დროსაც როდესაც იქ, სადაც უწინ მარტო ერთი სკოლა იყო, დღეს ასი არის და მშობელნი პირიქით იძლევიან ქრთამს, ოღონდ მათი შვილები მიიღონ სასწავლებლებში. სწორეთ დიდი ბიჯი წადგა წინ ხალხის სწავლა-განათლებამ. და რას ვხედავთ? ვხედავთ იმას, რომ რამდენიც წინ მიდის განათლება, იმდენათ ძირს ეცემა ხალხის ზნეობა. ამ სამწუხარო მოვლენას აშკარად ამჩნევენ განათლებული პედაგოგები. ზოგიერთები ცხადათ ამტკიცებენ, რომ პატიოსნება და ნამუსი, მიცემული სიტყვის აღსრულება და სიმართლე უფრო დაცულია შუა სპარსეთის ხალხში, რომლისათვისაც ჯერ კიდევ არ მიუშუქებია თავისი ცხოველ-მყოფელი სხივი სწავლა-განათლებას, ვინემ ევროპის განათლებულ ხალხშიო. ევროპის განათლებულ ხალხთა «ჟულიკები» თავიანთი მოქმედებით გააოცებენ გაუნათლებელ სპარსელს და განცვიფრებაში მოიყვანენ მას. დიახ, ეს მოვლენა იმოდენად ძნელი გამოსაცნობია, რომ ერთი საუკუნე კიდევ გაივლის და ჩვენი პედაგოგები მაინც კიდევ ვერ გამოიცნობენ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზს. მაგრამ, ჩვენის აზრით, არც ასე ძნელია ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზის შეტყობა. ეხლანდელი დროის წეს-წყობილებით და კანონებით უმთავრესი ყურადღება მარტო ყმაწვილის გონების განვითარებაზეა მიქცეული და ზნეობა კი სრულიად დავიწყებულია. ან კი როგორ უნდა ასწავლოს კეთილ-ზნეობა ყმაწვილს იმ მასწავლებელმა, რომელიც თვითონ უზნეოა. მაგრამ რას ვამბობთ! დღეს ბევრმა ისიც არ უწყის, თუ რა არის კეთილ-ზნეობა?!.

***

დიდი იმედი გვქონდა, რომ სწავლის გავრცელებისათანავე შური, მტრობა, ორ-პირობა, ფარისევლობა და სხვა ამის მსგავსნი თვისებანი თან-და-თან შემცირდებოდა მაგრამ, სამწუხაროდ, შური და მტრობა ისევ ძველებურად, ისევ ჩვენებურად, არსებობს და პარპაშებს. რამდენი სიტყვა წარმოითქმება ხოლმე შურისა და მტრობის წინააღმდეგ, მათ სიცუდეზე და ვნებაზედ, მაგრამ იგინი მაინც თავისას არ იშლიან. ზოგიერთებს მაინც ისე აბრმავებს ეს ცუდი თვისება, რომ მათ თეთრი შავად ეჩვენებათ და შავი თეთრად, კეთილი ბოროტად და ბოროტი კეთილად, დღე ღამედ და ღამე დღედ. განსაკუთრებით იქ, სადაც ხალხში ზარმაცობა დამყარებულა, ტვინი და გონება დაჩლუნგებულა უვარჯიშობით, ღრმად აქვს ფესვი გადგმული შურს და მტრობას. ვაი იმ კაცს, რომელსაც ამისთანა საზოგადოებაში წილად ხდომია მოღვაწეობა... ყოველი შენი კეთილი განზრახულება და თავგამეტებული სამსახური მოყვსისა და მამულის სასარგებლოდ პიროვნულ ანგარიშად ითვლება. თუ გინდა დაუმტკიცე ხატით, ჯვრით, რომ შენს სამსახურში პიროვნულ ანგარიშს ადგილი არა აქვს, მაგრამ მაინც ვერ დააჯერებ. რატომ? მიტომ, რომ ვისაც ძმა სძულს, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, იგი ბნელეშია, შური და მტრობა უბნელებს მას თვალებს და ველარ ხედავს. შურით და მტრობით გამსჭვალულნი ჩვენი მოშურნენი და მოძულენი მაინც გამოსულნი არიან მოთმინებისაგან და წერილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიარებენ თავიანთ უმგვანო შურს და მტრობას. ჩვენ ეს არ გვაკვირვებს და არ გვაწუხებს. მოშურნენი და მტერნი მხოლოდ მკვდრებს არა ჰყავსთ, თორემ კაცურად კაცის ცხოვრება უმტროდ არ შეიძლება. ჩვენ მხოლოდ იმას ვსწუხვართ, რომ, სხვათა შორის, ჩვენსავე მოძმეებში ვხედავთ ჩვენ მოშურნეთა და მოძულეთა. მაგრამ ჩვენ მაინც ვევედრებით უფალსა ჩვენ მოძულეთა და მაჭირვებელთათვის...

*
* *

ფარისევლობამ მაინც დაიმკვიდრა ქვეყანა! სახარება ბევრს რასმეს მოგვითქრობს ქრისტეს დროის ფარისევლების ქცევაზე და მოქმედებაზედ. იმა დროის ფარისეველნი განსაკუთრებით ცდილობდნენ, რომ ხალხს ჩვენებოდენ გარეგანად წმიდა კაცებად. ამისათვის ისინი ხშირად გზა-ჯვარადინებზე და უბნებზე დადგებოდენ და მაღლა ხელ-აპყრობილი ლოცვილობდენ. თუ რამე კეთილ საქმეს მოიმოქმედებდენ, ყველას აჩვენებდენ; ერთი სიტყვით, სცდილობდენ, რომ სხვებს ჩვენებოდენ კეთილმომქმედად და მოწყალედ. ამისთანანი იყვნენ ქრისტეს დროის ფარისეველნი, რომელნიც გარეგანი სიფაქიზით და სიმართლითა ფარავდენ თავის ღრსა გარყვნილებას, სავსეს უსამართლოებითა და მტაცებლობითა. სამწუხაროდ, დღესაც ხშირად ვხედავთ ჩვენ მრავალთა, რომელნიც წარმოსთქვამენ მშვენიერთა სიტყვათა, ან მისთვის, რომ მით დაიფარონ საძაგელნი საქმენი და მიმართულებანი, ან მისთვის, რომ კარგი სიტყვით მოიპოვონ თავიანთ მსმენელთა რწმუნება. მეცხრამეტე საუკუნის ფარისევლებიც აღარ ჩამოუდგებიან ქრისტეს დროის ფარისევლებს. ფარისევლობა შეუცვლელად დარჩა, მაგრამ ფარისევლური მოქმედების აღსრულება სხვა-და-სხვა ნაირად სრულდება. უბნებში დადგომა და ლოცვის აღსრულება და მოწყალების გაცემა სხვის შესატყობად საჭირო არ არის. დღეს უმჯობესი საშუალება მოიგონეს. აწმყო დროის ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მზად არიან ხელი მოუმართონ დაეხმარონ ზოგიერთ ფარისევლებს ამ შემთხვევაში. მეიკვირს და ვერ აგვიხსნია, თუ როგორ დაივიწყეს მაცხოვრის სიტყვები, რომელიც გვიბრძანებს, რომ ყოველივე კეთილი საქმე დაფარულად სრულდებოდეს, რომ მარჯვენა ხელით გაცემულს მარცხენა ხელი არ ტყობილობდეს!... რით აიხსნება ეს სამწუხარო მოვლენა? მით, რომ შეიყვარეს დიდება ამა წუთის სოფლისა უმეტეს ზეციური დიდებისა!..

ფარისეველობასთან დიდი დამოკიდებულება აქვს ორპირობას. ამბობენ, რომ ორპირნი კაცნი ადვილ შესატყობნი და გამოსაცნობნი არიანო. ამისთანა პირებს ორნაირი ხმა აქვსთ: ხან წვრილი, ქალური ხმით ლაპარაკობენ და ხან ბოხი, კაცური ხმით. ჩვენს სიცოცხლეში ამისთანა ორნაირი ხმის მქონე პირებს რამდენიმეს შევხვედრივართ, და მართალი უნდა ვაღვიაროთ, რომ დიდი ორპირობა და ორჭოფობა შეგვინიშნავს ამ გვარ კაცების ქცევასა და მოქმედებაში. ეს ცუდი თვისება თავის სამწუხარო შედეგით ბევრად საუგბელია ფარისევლობაზე. ორპირი კაცი შენთან შენია, სხვასთან მისი, შენთან შენ გაქებს და სხვას ლანძღავს, მასთან მას აქებს და შენ გლანძღავს. ორ ღვიძლ ძმას, მამა-შვილს, ცოლქმარს ორ მეგობარს გადაამტერებს ერთმანეთს, ალიაქოთს ასტეხს მათში და ბოლოს ამ უმგვანო ქცევით მიაღწევს თავის არა კეთილ განზრახვას,— თავის გამოჩენას, უფროსის ყურადღების დამსახურებას, წინ ბიჯის წადგმას და სხვათა-და-სხვათა... ღმერთმან დაიფაროს კაცი ამისთანა პირებთან დაახლოვებისა და მეგობრობისაგან. რამდენად შორს ხარ კაცი ამისთანა პირებზე, იმდენად უმჯობესია...

*\
*

ამას წინეთ ერთი თბილისელი ვაქბატონი, რომელიც ქუთაისში მსახურებს, ამტკიცებდა, რომ მედანოსეთა ბუდე ქუთაისში არისო და სხვაგან «დანოსები» არ იწერებაო. ჩვენ თავის დროზედ დაუმტკიცეთ ამ ბატონ მწერალს, რომ „დანოსების“ წერა და «მედანოსეები» არიან არა მარტო ქუთაისში, არამედ ყველგან და ყოველს ხალხში. თითვე არ გაიგლის, რომ რუსეთის შუაგული ეპარქიების მღვდელმთავრებმა არ გამოაცხადონ საქვეყნოთ თავიანთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარება დანოსების წერის შესახებ. იგინი ურჩევენ მაბეზღართ, რომ უბრალოდ ნუ სწუხდებიან, დაბეზღებითი ეპისტოლეების წერით: რამდენიც უნდა სწერონ, იგინი არაფითარ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ წერილებს და წაუკითხავად დახევენ მათ.

ამბობენ და კიდეცა სჩანს, რომ ჩვენს ღვთისგან კურთხეულ თბილისშიაც მრავალნი აღმოჩენილან ამისთანა მოღვაწენი და მუშაკნი და თავიანთი ბეზღებითი ეპისტოლეებით თავს აბეზრებენ ზოგიერთ პირთ. ძლიერ კარგს ინებებენ, თუ აქაც ისე მოიქცევიან დანოსების შესახებ, როგორც რუსეთში იქცევიან ზოგნი მეუფროსენი. თუ მედანოსენი დარწმუნდენ, რომ მათ სამარცხვინო წერილებს ყურადღება მიექცა, მაშინ მშვიდობით! ბეზღებითი წერილების კითხვას ველარ აუვლიან!.. ჩვენის აზრით, არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს, რომ მედანოსეთა მსხვერპლის საქციელი და მოქმედება გასინჯონ, გამოიკვლიონ, გამოიძიონ,—იქნება მართალს ამბობენ მათზე. მაგრამ ის არის სამწუხარო, როდესაც თვითონ საიდუმლო გამოკვლევის დროს მედანოსეები შეიქმნებიან მოწმებათ... მაბეზღართ, რასაკვირველია, წმიდა არასფერი არა აქვსთ, მათი საქციელი სიბნელით და ბუროსით არის დაფარული, მათ ვერ მოუნელებიათ თავიანთი მოძმის და მოყვსის შესამჩნევი კაცობრიული მოქმედება. სულ მდაბალთა და გონება დაჩლუნგებულთა, ზარმაცთა და უსაქმოთა ვერ მოუნელებიათ მათი უნცროსი მოძმის ანუ ამხანაგის თვალსაჩინო კეთილი და საქები მოღვაწეობა საზოგადოების სარბიელზედ. რამდენადაც მისი მოყვსის სახელი მაღლდება საზოგადოებაში, იმდენად სულმდაბალთა და მაბეზღართა გული სწუხს და შფოთავს სხვა-და-სხვა მანქანებათა გამოგონებისათვის, რომ კეთილმოღვაწეთა მშვენიერს აზრს და მიმართულებას ზეწარი გარდააფარონ და სიბნელით დაფარონ. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი სულმდაბალნი ხშირად კიდეც მიაღწევენ ხოლმე თავიანთ მიზანს. მაგრამ მაბეზღართა ცილისწამება ერთის სულის შებერვით ჰქრება და კეთილი საქმე და კეთილი მოღვაწეობა კაშკაშს დაიწყებენ. სასურველია, რომ მაბეზღართა გუნდი შემცირდეს? ეს შეიძლება მაშინ, როდესაც ყურადღება არ მიექცევა ბეზღებითი ეპისტოლეებს, მაშასადამე ბეზღების მოსპობა მარტო მთავრობასავე შეუძლია...

სოფლის მღვდელი.

## საისტორიო მასალა.

### საქართველოს ძველი დროის ნაშთები წმიდა ქვეყნებში და სინას მთაზე.

(გაგრძელება *).

«წმიდა ილარიონი გარდაიცვალა თესალონიკეში ვასილი მაკედონელის მეფობის დროს შობიდგან 53 წლისა. ამ წმინდანის გვამი თესალონიკედამ გადმოასვენეს კონსტანტინეპოლში კონსტანტინეპოლის პატრიარქის ეგნატეს დროს. ამ დროს ოლიმპიდამ თესალონიკეში მოვიდნენ წმ. ილარიონის მოწაფენი—ბერ-მონაზონნი, რომელთაც იმპერატორმა ვასილმა მისცა მშვენიერი ადგილი მონასტრის აღსაშენებლად. მონასტერი აღაშენეს თვითონ იმპერატორმა და პატრიარქმა. ეს მონასტერი იწოდებოდა ქართველების მონასტრად. ბოლოს ამ მონასტერში გადმოასვენეს ილარიონის წმიდა ნაწილნი.

წმიდა ილარიონის ცხოვრება და მოღვაწეობა პირველად დაწერილი ყოფილა ბერძნულს ენაზე, შემდეგ კი გადმოუთარგმნიათ ქართულს ენაზე. ამა საუკუნის 50 წლამდე სალონიკის წმიდა დიმიტრის ერთ ტაძრის კედელზე დახატული ყოფილა წმ. ილარიონი.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე საუკუნის ნახევარში (846—855 წ.) პალესტინაში აწამეს ერთი მდიდარი და გამოჩენილი ქართველი სახელად კონსტანტინე, რომელიც მოგზაურობდა წმ. ადგილებში სალოცავად. ეს კონსტანტინე ყოფილა მმართველი ზემო ქართლისა. მასს დიდი შესაწირავი მიუტანია წმ. ადგილების მონასტრებისათვის.

მეათე საუკუნის გამთავეს მისულა პალესტინაში აღმაშენებელი წმ. ჯვარის მონასტრისა პროხორე. ეს პროხორე ყოფილა ქართველი შავთიდამ. პირველად ამ პროხორეს უსწავლია წიგნი თბილისის მახლობლად ერთ მონასტერში არსენი ნინოწმინდელის ხელმძღვანელობით. შემდეგ პროხორე წასულა ათონში და აქედგან წმ. ადგილებში. პალესტინაში იგი დაბინავებულა წმ. სავას მონასტერში. ბოლოს დროს მას დაუწყია წმ. ჯვარის მონასტრის განახლება წმ. ევთიმე ათონელის შემწეობით.

მეათე და მეთერთმეტე საუკუნეებში ქართველი ბერ-მონაზონნი მხნედ მოღვაწეობდენ სინას და სავას მონასტრებში. უმეტესი ნაწილი ხელნაწერებისა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, ეკუთვნის სინას მონასტერში მცხოვრებ ქართველ ბერების კალამს.

თუმცა დიდი განსაცდელი ადგა წმ. ადგილებში ქრისტიანებს მეთერთმეტე საუკუნეში, მაგრამ საქართველო ყოველივე ღონის ძიებით იცავდა მართლმადიდებლობას ამ ადგილებში და ქართველი ბერ-მონაზონნი მხნედ მოღვაწეობდენ სირიაში, პალესტინაში და სინას მთაზე. მეთერთმეტე საუკუნეში ქართველ მონასტრებში ქართველ ბერ-მონაზონთა შორის დიდი ერთ-სულობა სუფევდა, ანტიოქიაში ღვთისმშობლის კალიპოს მონასტერში იყო 60 ბერ-მონაზონნი; განსაკუთრებით მხურვალედ ეკიდებოდენ საღმრთო და საეკკლესიო წიგნების თარგმნას და წერას ქართველი ბერები წმ. ჯვარის მონასტერში და სინას მთაზე.

მეთერთმეტე საუკუნეში სინას მთაზე დაარსდა შესანიშნავი მონასტერი წმ. იაკობის სახელობაზე. ამ მონასტრის აღმშენებლად ითვლება საქართველოს მეფე გიორგი კუროპალატი, მაგრამ ამ საგნის შესახებ არავითარი ცნობა არ არის «ქართლის ცხოვრებაში». სინას მთის, პალესტინის და ანტიოქიის მონასტრების ქართველ ბერ-მონაზონთ დიდი ერთობა ჰქონდათ ათონის ივერიის და ქართლის მონასტრებში მცხოვრებ ბერებთან. მეათე და მეთერთმეტე საუკუნოებში წმ. ადგილებში მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავი არის ორი: აღმშენებელი წმ. ჯვარის მონასტრისა გიორგი—პროხორე და წმ. გიორგი მთაწმინდელი. ეჭვი არ არის, რომ ამ ისტორიულ ადგილზე წმ. ჯვარის მონასტრის აღშენება ეკუთვნისთ პროხორეს და წმ. გიორგი მთაწმინდელს, რომელთაც ნივთიერად დიდ შემწეობას აძლევდენ: საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, დედა მისი მარიამი, ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარი წმ. ევთიმე და წმ. ადგილების ქართველების ყველა მონასტრებში მცხოვრებნი მერ-მონაზონნი. წმ. ჯვარის მონასტერს მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში პირველი ადგილი ეკავა წმ. ადგილების ყველა მონასტრებ შორის. ამ მონასტრის წინამძღვარი ითვლებოდა წმ. გოლგოთის მონასტრის წინამძღვრადაც; ამ წინამძღვრის საშუალებით მიწერ-მოწერა ჰქონდათ ხოლმე საქართველოს მეფეებს იერუსალიმის პატრიარქთან. ამ მონასტრის წინამძღვარს ყოველთვის საქართველოს მეფე ნიშნავდა და აგზავნიდა საქართველოდამ. იგი განაგებდა წმ. ადგილების ყველა მონასტრებს და მათდამი კუთვნილ შენობათა და ადგილებს.

წმ. ჯვარის მონასტერთან ერთად დაიწყეს შენება წმ. საფლავის ტაძრისაც, რომელიც 1010—1048 წწ. დაანგრიეს მოსლემანებმა. ამ ტაძრის განახლება გათავდა 1050 წელში. როგორც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, ამ ტაძრის განახლებისათვის საჭირო ფული ბლომად იგზავნებოდა ყველამხრის ქრისტიანებისაგან. შემწირველთა მოთავენი იყვნენ როგორც ბერძნის, ისე საქართველოს მეფეები, სახელდობ: გიორგი (1014—1027), ბაგრატ მეოთხე

(1027 1074), და დედა ბაგრატისა დედოფალი მარიამი, რომელთაგან დიდ ძალი შესაწირავი ეგზავნებოდა გიორგი მთაწმინდელის ხელით ხსენებულს ტაძარს. 1049 წელში წმიდა საფლავის ტაძართან სცხოვრებდნენ ქართველი ბერ-მონაზონნი.

მეთერთმეტე საუკუნის შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი დაიბადა 1014 წ. შვიდი წლისა იყო იგი, როცა მონასტერში მიაბარეს, პირველად ტაძარში, ხოლო შემდეგ შესანიშნავს ხახულის სავანეში, რომელშიაც იმ დროს სცხოვრებდა 17 გამოჩენილი მწიგნობარი ბერნი. 1021 წელში გიორგი ბიძამ წაიყვანა კონსტანტინეპოლში, სადაც დარჩა იგი თორმეტი წელიწადი. აქ გიორგი ერთგულად სწავლობდა მეცნიერებას და ბერძნულ ენას, შემდეგ იგი ხელ-ახლად დაბრუნდა ხახულის სავანეში.

1039 წელში გიორგი, როცა იგი შესრულდა 25 წლისა, აკურთხეს ბერად. ამავე წელში გიორგი გაემგზავრა წმ. ადგილების თაყვანისაცემად. მან დაიარა ქართველების მონასტრები ანტიოქიაში და შავს მთაზე, სამი წელიწადი დარჩა წმ. რომანოზის მონასტერში. როცა ოც-და-ათის წლის შესრულდა, იგი ეკურთხა მღვდელ-მონაზვნად და 1044 წელში გაემგზავრა იერუსალიმში, აქედგან იგი ხელ-ახლად დაბრუნდა ანტიოქიაში ქართველების მონასტრებში, ანტიოქიიდამ გიორგი გაემგზავრა ათონის მთაზე, სადაც დარჩა შვიდი წელიწადი. აქ ის თარგმნიდა საღმრთო წერილის, საეკკლესიო ღვთის-მსახურების და სხვა სასულიერო შინაარსის წიგნებს. 1051 წელში გიორგი აღირჩიეს ათონის მონასტრის წინამძღვრად. 1050 წელში ათონიდამ გიორგი მოვიდა კონსტანტინეპოლში საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის და მისი დედის დედოფლის მარიამის სანახავად. გიორგიმ მეფის ბაგრატის, მისი დედის მარიამის და ბერძნის იმპერატორის კონსტანტინე მონომახისაგან დიდ ძალი შესაწირავი მიიღო ივერიის მონასტრის სასარგებლოდ. ამის შემდეგ გიორგიმ დასტოვა წინამძღვრის თანამდებობა და წავიდა შუა მთის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად; ანტიოქიაში 1056 წელში გიორგიმ ნახა მეფის ბაგრატის დედა დედოფალი მარიამი. დედოფალს სურდა იერუსალიმში წასვლა, მაგრამ მან ველარ შეასრულა თავის განზრახვა, რადგან ამ დროს სირიაში არეულობა იყო, ამიტომ დედოფალმა ყოველივე ის შესაწირავი, რომელიც კი მას მიჰქონდა იერუსალიმის მონასტრისათვის, გაატანა გიორგის. ამ საგნის შესახებ აი რას ვკითხულობთ «ქართლის ცხოვრებაში».

«დედოფალი მარიამი, დედა მეფის ბაგრატისა, გაემგზავრა კონსტანტინეპოლიდამ და მივიდა ანტიოქიაში, საიდგანაც სურდა წასულიყო იერუსალიმში წმ. ადგილების თაყვანისაცემად; დედოფალს თან ჰქონდა იმპერატორის მიწერილობა ანტიოქიის მართველის და პატრიარქის სახელზე, რომ მათ გაეგზავნათ დედოფალი იერუსალიმში შესაფერისი დიდებით და პატივით. ანტიოქიის მმართველმა, პატრიარქმა და გიორგიმ მოილაპარაკეს ერთად და, შემდეგ მოლაპარაკებისა, ურჩიეს დედოფალს, რომ მას თავი დაენებებია იერუსალიმში წასვლისათვის, რადგან ამ დროს წმიდა ადგილები ურწმუნოების ხელში იყო. დედოფალიც დაეთანხმა მათ რჩევას და თავი დაანება იერუსალიმში წასვლას. ამიტომ დედოფალი შეეხვეწა წმ. გიორგის, რომ მასს მაინც ეზრუნა და ელოცა დედოფლის სულის საცხოვნებლად და საოხად. მასთან დედოფალმა გამზადებული შესაწირავი გაატანა გიორგის იერუსალიმში დასარიგებლად ქალაქის გაჭირვებულთა და მონასტრებისათვის.

როცა გიორგი მივიდა იერუსალიმში, მან ნახა, რომ პროხორე აშენებდა ჯვარის მონასტერს. იერუსალიმიდამ წმ. გიორგი დაბრუნდა ანტიოქიაში და სცხოვრებდა ქართველების მონასტრებში. აქ მან მიიღო მეფის ბაგრატისაგან წერილი, რომელშიაც მეფე სთხოვდა გიორგის საქართველოში დაბრუნებას. წმ. გიორგი დაბრუნდა საქართველოში და თან წამოიყვანა ერთი მოწაფე, რომელმაც დასწერა ამ წმიდანის ცხოვრების აღწერა. შავი ზღვით წმ. გიორგი მოვიდა იმერეთში, სადაც მას შეეგებნენ მეფის ბაგრატისაგან გაგზავნილი კაცები და მოიყვანეს იგი ქუთაისში. მეფემ დიდის ამბით მიიღო წმ. გიორგი. წმ. გიორგი მხურვალედ შეუდგა თავის მემამულეთა დაცემული ზნის ამაღლების საქმეს. 1064 წელში, როცა წმ. გიორგი იმყოფებოდა ახალციხეში, მოსლემანები შემოესიენ საქართველოს. წმ. გიორგიმ შეჰკრიბა 80 ყმაწვილი და წაიყვანა ისინი კონსტანტინეპოლში, სადაც მისვლისათანავე წმ. გიორგი უეცრად გარდაიცვალა 1056—1065 წლებში.

## წარმომავლობა სიტყვისა ღმერთი.

(გაგრძელება *).

მესამე მიზეზი კერპთაყვანისმცემლობის (კერძოთ საქართველოში) იქმნებოდა პოლიტიკური, ასე ვთქვათ. როცა ქართველთ მიწა-წყალზე გადმოიხვეწებოდენ სხვა წეს-რჯულის მიმდევარნი და ქართველებიც მას, ნებით-თუ უნებურათ, შეიხიზნავდენ, მაშინ თავიანთ ღმერთების დასში ჩარიცხავდენ უცხოელების ღმერთებსაც. ამისგამო გადმოიღებდენ იმათს სიმბოლოებსაც, როგორც მეტს და შინაურს და გარეულს, ერთად მოთავსებულ ღმერთებს, უწოდებდენ ღერ+მეტს. ამ გარემოებას შუქს ფენს ახლადრე აღმოჩენილი ვანის მანაწერები (Клипопись) (ანუ, როგორც ეხლა ეძახიან, ლურსმული ნ წერები) სადაც მოხსენებულნი არიან როგორც მუნებური (ქართველთ) ღმერთები, აგრეთვე უცხოელნიცა.

შემდეგ ამისა ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, საითგან მომდინარეობს სიტყვა ღმერთი (ღერ+მეტი=ღერ+მეთი=ღმერთი). არც ისაა ძნელი მისახვედრი თუ, რათ იყვნენ ქართველები კერპთაყვანისმცემლები ქრისტეს რჯულზე მოქცევამდე.

ამასთანავე ისიც უნდა ვიგულოთ, რომ დაბიოხალხს განყენებული ცნება არ ემარჯვება წარმოსადგენათ. მისთვის ხილული და ადგილობრივი უფრო საგრძნობელი და მკერთვასია. ამისგამო მველი წარმოდგენილება ერთს (ცის) ღმერთზე გადიტანა ბოლოს კერპებზე, მათაც ღერო უწოდა და ეს სახელი შერჩა ქართულს ენას ქრისტიანობის დროსაც და დღეის აქამომდე. მას რომ „მეტი" დაურთო ქართველმა ერმა, ესეც ჩვეულებრივი მოვლინებაა. ერთი მეცნიერი მეგვიპტოლოგი პირდაპირ ამბობს: «ჯერ ოსირი და იზიდა და მერე მე მათი გორ თავისით მიმოიცვენ ყველა ღმერთების და მეფეებზე თვითეულ სათემო ღმერთთან დახატული იყო მისი რომლისამე თვისების გამოჩანება».

ჩვეითონ ქართულ სიტყვა-პასუხს რომ დავაკვირდეთ, აქ რაღას ვხედავთ? იმას, რომ ღერო ყოველთვის უმთავრესს და ერთებრივს რასმე ნიშნავს, მაგალ. ღერო (ტანი) ხის; „კაცი ხარ ერთი ღერია" (დ. გურამ), მითომ ერთად ერთიო. პატარა მთას გეძახით გორას, ეს ჯგუბ იმას გამო დაერქვა, რომ ამომავალს მზეს რომ თაყვანს სცემდენ, შედგებოდენ გორაზე და იქ უზორვიდენ. მზე ხომ სიმრგვლეს წარმოადგენს, ქართულს ენაში კიდევ არის ფესვიანი სიტყვები: გორვა, გოგორა, მგორგვალა, მრგვალი, გორგალა, გორგოლე, (სამღერაა), რგოლი, გორება.

ღმერთი ზორ არა მარტო ჩვენში გადმოსულა. მისი კვალი ჩანს სლოვენურ ენებშიაც: Гора (მთა). რუმინული ერთნიშნული ცეკვაა ერთი, რომელსაც სახელად гора ქვია. ალბათ ეს ცეკვა სრულდებოდა დღესასწაულობაზე საპატიოთ ღმერთისა გორ. ბერძნული მთის სახელი ტოლოროს, ბერძენთ ღმერთები—ჰერა, ჰერმეტეს სულ ყველანი მოგვაგონებენ ღმერთს ღორ. ესენი სულ მეგვიპტეთიდან უნდა მომდინარეობდენ ქალდეასურეთის საშვალობით. სიტყვა ბაბელონ ნიშნავს „ბჭენი მზისანი». ბაბელონში იყო მაღალი მზის ტაძარი. ვიცით ისიც, რომ საკვირველს ბერძნების ქანდაკებით ხელოვნებას ნიმუშებად ქონდა ასურული ქანდაკები. რაღა ქანდაკებს, მთელს ბერძენთ კულტურას და ამაღლებულს ფილოსოფიას დასაბამი აღმოსავლეთში აქვს. ერთი სიტყვით, აქ საკვირველი არ არის რა, თუ ჩვენშიაც მეგვიპტითგან გადმოვიდა ღვთის სახელი.

---

თუ ზემოთქმული განმარტება ვერ აჯერებს მკითხველს, შეიძლება კიდევ წარმოვადგინოთ მეორე საიჭვიც, რომლის ძალითაც მეორე ნახევარი სიტყვისა ღერ-მეტ მომდინარეობდეს სიტყვისგან მოტ, ან მუტ. ინდუსების «რიგ ვედში" აღწერილი ღმერთი მოტ, როგორც თესლი და ყოველის ნივთიერების წარმომაარსებელი დასაბამი. ინდიური კულტურა შედარებით ახალია („რიგ—ვედა" დაიწერა 1500—1200 წ. ქრისტეს წინათ) და სათავე აქვს სემელ-ქამელი კულტურაში. მეგვიპტეში ხომ იყო დედა-ღმერთი მუტ. იგი და ღერ შეადგენენ ერთათ ღერ+მუტ, ანუ ღერ+მოტ. რადგან ქართულს ენაში ხმოვანი ბგერები ო, უ, და ე, ხშირათ იქცევიან ერთი მეორედ, ამიტომ შესაძლოა, რომ ამ გზით წარმოსდგა სიტყვა ღერ+მეთ და ღერ+მეტ. მაგრამ ჩვენ ამ უკანასკნელ საიჭვს ნაკლებს მნიშვნელობას ვაძლევთ.

ახლა ჩვენ ესლა დაგვრჩა სათქმელათ, თუ, რა გზით შემოვიდა ეს მეგვიპტური სიტყვა ჩვენში (ჯგუბ

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6 7 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ძველ ქალდეითგან გადვიდა მეგვიპტეში) და რა ურთიერთობა იყო ძველ საქართველოსა და მე-გვიპტეს შუა.

ამ საკითხის შესახებ სწავლულები ორ დასად არიან გაყოფილნი. ერთნი გონებენ, რომ მეგვიპტეს და საქართველოს ერთმანერთთან დამოკიდებულება არა ქონიათ რაო და არც რამზეს II—ეს მოულაშქრავს საქართველო, როგორც ჰეროდოტე წერსო. მეორენი ადგანან იმ აზრს, რომ მეგვიპტეს და საქართველოს დიდი მიმოსვლა ქონიათ ერთმანერთში, არა თუ მაშინ, როცა ქართველები ტიგროს—ევფრატის დაღმა და არმენიაში მკვიდრობდენო, არამედ მაშინაც კი, როცა ისინი ახლანდელ სამკვიდროზე გადმოესახლენო. პირველის დასის მკვლევარებს სხვა საბუთი არა აქვთ გარდა იმისა, რომ არ კმარობენ მეორის დასის მკვლევართ საბუთებს. ეს საბუთები არიან დამყარებულნი შემდეგს ცნობებზე.

ზოგი სწავლული იმასაც კი ამტკიცებს, რომ მე-გვიპტეს კულტურა ნილოსის მიდამო მომდინარეობს 24,000 წლის წინანდელ დროითგან. იმაში კი ცოტანი იჭვნეულობენ, რომ ქამელებმა თითქმის ერთსა და მასვე დროს (4000 წ. ქ. წ.) დააფუძნეს სამეფოები მე-გვიპტესა და ქალდეაში. ისინი ყველაზე ადრე გამოსულან ზემო აზიითგან და დამკვიდრებულან მეგვიპტეში, ქალდეაში და მის მეზობელ მიწა-წყალზედ მხოლოდ ეს ორი ქვეყანა დადგომიან თავდაპირველათ ცხოვრების წარმატების გზას. ამათში ყველაზე უწინარეს დამყარე-ბულია სახელმწიფო წესი და საზოგადოებრივი წყობი-ლება. აქვე აყვავებულა მრავალგვარი ხელოვნება და სწა-ვლა, რაიცა იქითგან გავრცელებულა ასურეთზე, მცირე აზიაზე და სხ. დღეს აღარ ჩანს ქართული წარმართო-ბის დროის მწერლობა და ნაშთები, თორემ ეს კვალი უფრო ადვილი მისაგნები იქმნებოდა. თუ პირდაპი-რი კავშირი მეგვიპტელებისა გადმო[illegible] კავკასიის ხალ-ხებთან ეჭვდასადებია, ქალდე—ასურეთის შუამავლობით უეჭველი უნდა იყოს. ისიც ჭკუაზე ახლოა, რომ ფი-ნიკელები, როგორც მოარული და მოვაჭრე ხალხი ამ კავშირის გააბმდენ.

ქალდისი ყოფილა ქართველების მთავარ-ღმერთი მაშინ, როცა ესენი სახლებულან პირვანდელ სამკვიდ-როზე. ღერო უნდა იყოს უფრო აქეთური და მცხე-თის გაძლიერების ხანაზე ახლო წინანდელი. ეს ხანა ისე ხანგრძლივი და მოძრავი ყოფილა, რომ შემდეგში მცხეთის ხანამ, (რომელიც შედარებით ძლიერ მოკლე იყო და რომელიც სპარსეთის გავლენას ქვეშ იზრდებოდა) მისი კვალი ბევრგან წაუშლელად დატოვა.

ვინცა ვინ სწავლულები მომხრენი არიან იმ შეხე-დულობისა, რომ მეგვიპტელებს დიდი გავლენა ქონ-დათ ძველს ქართველებზე, მათ აქვთ საფუძვლად შემ-დეგი ცნობები.

გეონის ნაპირებზე და არმენიაში, სადაც ქართველ-თა ძველეთი ყოფილა, უნდა ყოფილიყონ ჩამდგარნი ეთიოპელები, რადგან მოსე წინასწარმეტყველი ეთიო-პიის ქვეყნად იხსენიებს გეონის (არაზის) მიმდი-ნარეობას.

როცა სეზოსტრისმა (რამზეს II—ემ) დაიპყრო მრავალი გამოჩენილი ქვეყანა, ბოლოს გადმოილაშქრა კოლხიდაზე და, რადგან აქ ფეხი ვერ მოიკიდა, დაა-გდო ერთი ნაწილი თავისის ჯარისა შავიზღვის პირათ და თვითონ გაბრუნდა..

პირამიდულის ბაშლაყების ხმარება კოლხიდაში, ლაზების პირისახის მზგავსება ეთიოპელებისასთან, მი-ცვალებულთა გამოტირილი, წინადაცვეთა (რომელსაც იმ დროს მარტო ეფიოპლები და კოლხიდელები ასრუ-ლებდენ) კატის პატივისცემა («ვინც კატას მოკლავს, ცხრა ეკკლესია უნდა ააგოსო» ახლაც არის ჩვენში და-რჩენილი ანდაზა—მცნებად)... ეს ყოველივე ამისთანაები სულ მეგვიპტელებს მოგვაგონებენ.

მესხეთის მხარეში მეგვიპტელების მფლობელობის ნაშთები უფრო სარწმუნონი არიან. ახალციხის და ჯა-ვახეთის სოფლებში, ნასაფლავარებში აღმოაჩინეს მე-გვიპტურ საჭურველთ ნაშთები, სპილენძისაგან გაკეთე-ბულნი, და სულ მწვანეთ შეღებულნი, როგორც ქო-ნიათ ჩვეულებათ მეგვიპტელებს.

მეგვიპტელებსავე დაუყვიათ საქართველო ქვეყნის ნა-წილად, ერთი ნაწილი —გურია—მიუჩემებიათ ქურუმები-სათვის. (გურია მზეს ნიშნავს მეგვიპტურათვე; ოზურ-გეთში დიდხანს სუფევდა თაყვანისცემა ოსირისადმი). მეორე ნაწილი ყოფილა მესხეთი, აქაურთ მკვიდრთ ქონიათ მიჩემებული მიწათმოქმედება და მეტადრე მევე-ნახეობა. ვტოებთ მოუხსენებლათ მესამეს, მეოთხეს და მეხუთეს რიგობას. მეექვსე რიგში ითვლებოდენ ქართ-ლელები. ამათ წილად არგუნეს უმთავრესად ღორის მო-შენება. ქართლში დააფუძნეს ქალაქი გორი (ღორ და გორ ხომ ერთი და იგივეა და ღორი ხომ მზის ემ-ბლემაა). მას აქეთ შემოსულა ქართულ ენაში სახელი ღორი. თორემ მანამდე ამ ცხოველს ქართულათ ერქა

ბრანგვი. რაც წარმოება მეგვიპტელებისაგან დარჩენია რომელსამე ჩვენს კუთხეს, დღესაც თითქმის იგივე შერჩენია. დღეის აქამომდეა დარჩენილი: თუ იმერელს უნდა ქართლელი გამოაჯავროს, მეღორეს დაუძახებს. აგრეთვე ქართლელი იმერელს ეძახის ღომის ჭამიას. ღომი, ღობიო, კვახი, ხაპი, კეცი (ყოველნაირს თიხის ჭურჭელს ეძახდენ წინათ, მეკეცე—მეჭურჭლე), სელის მოყვანა და ქსოვა სულ მეგვიპტურის შთამოებისად ითვლება ზოგთ მკვლევართაგან. აგრეთვე კანაფი (მეგვიპტეში იყო ქალაქი კანიოფი). მეგვიპტის ქსოვისავით საქართველოს ქსოვისაც განთქმული იყო საფაიქროებით და კოლხიდური ტილო, რომელსაც სარდონულს ეძახდენ, ყველგან განთქმული იყო და მეგვიპტურს ტილოზე მაღლა აყენებდენ სიწმინდით.

შესანიშნავია, მეორის მხრით, ერთი-და-იგივეობა ზოგიერთის გეოგრაფიულ სახელებისა. როგორცა ჩვენში, ისე მეგვიპტეში იყვნენ შემდეგი გეოგრაფიული სახელები; ბათუმი, ონი, დიმი, საირი, საქარა, ხონი, ბედია, საბუე, ქსოისი, ჯერემი, სარაპანე (შორაპანი), ჭეა, ჭერეთი, იორი (დაბადებაში ნილოსის სახელია იარო, იერეს—ებრაულათ.

ჩვეულებრივათ სახმარებელი სიტყვებიც ცოტა არ არის ქართულს ენაში მეგვიპტურის წარმოებისა. აი მაგალითად; ა) ნეტა—იქ ნიშნავდა აღმაღლებულს რასმე, ცას, მზეს, ნილოსს—ყოვლის ნაყოფის მომცემელს. ჩვენშიაც ნეტარება სრულს ბედნიერებას ნიშნავს. ბ) მონა,—ამმონი იყო ერთს ხანად მთავარ ღმერთი უფრო კი ღმერთი ბრძოლის, გამარჯვების და სხვათა დამონავებისა. ამონეს—რა—მე ამმონისა. ეს სახელი შეეძლოთ დაერქვათ ლაშქრობაში ძლევაშემოსილ ფარაონებს. თავდაპირველათ კი ამმონ იყო თურმე მეფე, რომელმაც დაიმორჩილა ეფიოპეთი, ლიბეთი და მთელი ისტორიული აზია. შემდეგში ეს მეფე შთამომავლობისაგან გაღმერთდა და კერპადაც დაიდგა, ისე როგორც ძველის ქართველებისაგან ქალდისი. გ) ანუკა—ჩვენებურათ ხომ ქალის სახელია. მეგვიპტეშიაც ქალ—ღმერთი იყო, ბავშვების მზრუნველ-მფარველი. ანუკე შეეძლო დაერქვა სახელად კარგს დედა—მეძუძეს. დ) აამა—მეგვიპტეში იყო ქვეყნის სახელი, მიღებული ერთის მეფისგან. ეგევე სახელი რქმევია ერთს იქაურ შესანიშნავ სარდალს.

ოთხსავე ამ სიტყვას აქვს ზმნა და მრავალგვარი წარმოება ქართულში: ნეტარება, სანეტარო; მონობა, დაუმონია; ნუკა, სანუკველი (საინტერესო), მენუკება, ვენუკვი; ამება, საამური და სხ. მაშასადამე ეს ამგვარი სიტყვები ძველის ძველითვე შემოსულან ჩვენში და მოქართულებულან, ისე როგორც უცხო სიტყვები შედიან ერთის ენითგან მეორეში, განათლებულის ერითგან უფრო ნაკლებ განათლებულში.

ე) კოლხი—მეგვიპტეშიაც ყოფილა ამ სახელის მქონი ხალხი—კალგი. ეს კალგები, რამდენიმე სეზოსტრის დიდმა დაასახლაო შავზღვის პირათ და იმათგან გაკეთდაო სახელი კოლხიდა. ქაირის ძველ მკვიდრთა და შავ ზღვის პირელ ქართველთა (ლაზები) ძლიერ ამგვანებენ ერთმანერთთან პირისახით.

ვ) კუშტი—ნეგრებს თურმე ეძახდენ. ჩვენში კიდევ პირ მკვახე, მოქუშულ კაცს ნიშნავს.

ზ) ნახირი—ესეც მეგვიპტურია...

აგრეთვე შესანიშნავია ქართულს ანბანში ზოგიერთის ასოების სახელები, დაბოლოებულნი ან—ზე. ისინი მეგვიპტურათ ნიშნავენ ან დინასტიის რომლისამე სახელ-წოდებას, ან მზეს, ან რომლისამე ღმერთის სახელს. ან და ენ ნიშნავს თვალს; ბან და გან ერთს მეფეთა გვარეულობას; უნ და ონ—მზეს. ასე რომ ჩვიდმეტი ასო ქართულს ანბანში მეგვიპტურის წარმოებისაა და იყვნენ საღვთო ასოები (ხუცური ჩვენებურათ). დანარჩენი ასოები უნდა იყონ სხვა წარმოებისა, თუნდა ზენდურის-. მარტო ბაბელონის ანბანში იპოება თურმე სახელწოდება ინ, უნ; ებრაულში და სომხურში აინ. ამას ხსნიან მეგვიპტის გავლენით ბაბელონ—ასურეთზე, ქალდეაზე და შუამდინარის სემელებზე.

თუ მართალია ისტორიული კავშირი მეგვიპტელებისა ძველ საქართველოზე, ეს ბევრათ უფრო ძველი ამბავი უნდა იყოს, ვინემ 1600 წ. ქრისტეს წინანდელ დროისა. დიოდორე სიცილიელი მოწმობს თურმე, რომ ოსირისმა (ჯერ მეფე იყო, მერე გაღმერთეს) ასწავლაო მეგვიპტელებს ღვინის კეთება და მთელი კულტურა მის დროითგან იწყებაო. მანვე დაასახლაო კოლხები პონტოს პირათ.

ზოგნი ამბობენ, რომ ძველის ძველათ მეგვიპტის მბრძანებელთ ეწოდებოდათ მეფეები, ფარაონები კი უფრო ახალი სახელიაო. «ერთს დროს, იმეორებენ მანეთონს ნათქომს იუდაელთ მწერალი იოსებ ფლავიანე და ებსები, მეგვიპტეს შეესიაო ამაყი ხალხი, რომელმაც დაიმორჩილა მთელი მეგვიპტე; მეფენი იყვნენ მწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხნი და მათს მთავარ—მეფეს ერქვა სალათას. მეგვიპტელები ამ დროს იცნობდნენ ღმერთებს ამმონ—რას და აამესს. იმ შემოსეულს ხალხს ერქვა ღიკოსია. ზოგნი ამბობენ, რომ ეს შემსევი ხალხი იყვნენ ქალდეველნი და კავკასიელები. თუ ეს ცნობა ნამდვილია, საფიქრებელია, რომ, როცა მეგვიპტელები გაძლიერდნენ, მათაც სამაგიეროთ მოლაშქრეს, სხვათა შორის, ამიერ კავკასია. რაკი აქ ნახეს მრავალგვარი ბუნებითი სიმდიდრე, დიდხანს იფვლეს აქ, გაიშენეს ახალშენები, შეამუშავეს მადნები და შემოიტანეს თავიანთი კულტურა. ერთი სიტყვით მაშინდელი დაჩნეული კვალი ისეთი ღრმა ყოფილა, რომ დღესაც არ არის აღგვილი. უფრო დაბეჯითებით ამბობენ იმას, რომ 1600—ის წლით ქრისტეს წინათ ფუტმეს III—ემ დააფუძნა ახალშენები კოლხიდაში საალებ—მიცემო მიზნით და უფრო მადნების შესამუშავებლათ. ამას ჰეროდოტეც კი ამბობს. (ეგებ ახლად აღმოჩენილი ქვემო იმერეთში მადაროები მაშინდელის დროისა იყოს). ფუტმესის დროსვე მოხდა გადასახლებ-გადმოსახლება რამდენთამე მკვიდრთა მეგვიპტითგან კოლხიდაში და—პირიქით—კოლხიდითგან მეგვიპტეში. ამ მიზეზით უნდა აიხსნას გეოგრაფიულის სახელების ერთნაირობა.

შარდანის (სარდონის) ჯარი კავკას—კოლხიდის შთამოებისა, ჯამაგირით მსახურებდა რამესეუმში რამზეს მესამეს; რამსეუმი ჯარს გარდა რამდენიმე სარდონელი მკვიდრიც ყოფილა გადასახლებული იქვე და ხარკად სდებიათ ტილოქსოვილების მლევა მეგვიპტის მეფეებისათვის. იგივე რამზესი (1200 ქ. წ.) ამარცხებს ლიბელებს და ამ გამარჯვებაში მომხრედ მოიხსენიებს კაიკაშებს (კავკასიელებს).

ერთი სიტყვით ძველი და ახალი მკვლევარები გვარწმუნებენ, რომ მეგვიპტეს ქონია როგორც მალღონით, ისე კულტურით დიდი ზედმოქმედება მთელს აზიაზე. ამიტომაც მათი კვალი და ნაშთი ბევრია საქართველოშიაც, რომელიც ყოფილა მეგვიპტის თანადროული და თითქმის მეტოქიც იმ თავითვე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც ამბობენ, საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის ახალი პროკურორი ბ. შირსკი ჯერ კიდევ მალე ვერ მოვა თბილისში. დროებითად მის თანამდებობას ასრულებს ამავე კანტორის მდივანი ბ. ჩიტაძე.

ბ. შირსკის 1847 წელში შეუსრულებია სწავლა სასულიერო აკადემიაში და ერთის წლის შემდეგ მიუღია მალისტრის ხარისხი. 1855 წლიდგან დღემდე ბ. შირსკი მსახურებდა კოსტრომის კონსისტორიაში მდივნად. ბ. შირსკი არის შობიდგან 64 წლისა.

*
* *

ამ წელიწადში თბილისის სასულიერო სემინარიიდამ ორ მოწაფეს აგზავნიან სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით. სამწუხაროა, რომ არც ერთი მოწაფე სემინარიაში კურს დამთავრებულთაგანნი თავის ხარჯით არ სურვობს აკადემიაში წასვლას და სწავლის გაგრძელებას, თუმცა ზოგიერთა მშობლებს შეძლება ხელს უწყობს, რომ თავის შვილი უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში გააგზავნონ.

*
* *

მაისის 8 მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის ლოცვა-კურთხევით და ნება-რთვით ჩაჰყარეს საძირკველი სამრევლო სკოლის შენობისა დიდუბის ეკკლესიის გალავანში. ამ ეკკლესიის წინამძღვარი მ. ზედგენიძე ბევრსა სცდილობს მისდამი რწმუნებული ეკკლესიის გამშვენებისა და შესაფერად შემკობისათვის. მ. ზედგენიძე უკვე შესდგომია ამ ეკკლესიის გუმბათის შენებას და საზოგადოდ ტაძრის შენობის სხვა ნაკლულევანებათა გასწორებას. მ. ზედგენიძის მეცადინეობით კარგა ძალი ფული ყოფილა შეგროვილი სკოლის შენობისა და ტაძრის გუმბათის ასაგებად.

*
* *

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის თაოსნობით დაწყებულ იქმნა ტაძრის შენება თბილისის ალექსანდროვის ბაღში, კუკიის ხიდის მახლობლად **მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა და მათი უავგუსტოესის სახლობის** განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად 17 ოქტომბერს 1888 წელსა. ხსენებული ტაძარი უკვე აღშენდა. მას აკურთხებენ 13 მაისს. ეკკლესია მშვენიერია და უნდა ვსთქვათ, რომ იგი ძალიან ამშვენებს ბაღს.

***

განსვენებულის დიმიტრი ზ. ბაქრაძის მაგივრად თბილისის საეკკლესიო—საარქეოლოგიო მუზეუმის თავს-მჯდომარედ დაინიშნა საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრი არქიმანდრიტი მ. ნიკოლოზი. ამავე მუზეუმის წევრად დანიშნულ იქმნა პროფესორი გ. ოქრომჭედლიშვილი.

***

ძუხის მაცხოვრის ეკკლესიის კრებული და სამწყსო გულითად მადლობას სწირავენ კუხის სოფლის მცხოვრებს ნიკო ს. ცომაიას, რომელსაც ხსენებული ტაძრისათვის შეუწირავს ორი დიდი შანდალი, ღირებული არა ნაკლებ ოც-და-ათის მანეთისა.

***

დიდი უთანხმოება იყო ქალაქის სამღვდელოებაში იმის გამო, რომ სამრევლოები რიგიანად არ იყვნენ განსაზღრულნი და შემოფარგლულნი, ასე რომ ის მღვდელი მეტს სარგებლობდა, რომელიც უფრო დიდხანს მსახურებდა და მეტ ხალხსაც იცნობდა, და ახალგაზრდა მღვდელი კი სრულიად მოკლებული იყო შემოსავალს, რადგან არავის იცნობდა. დღეს ამ საგნის შესახებ გამოიცა უწმიდესი სინოდისაგან უქაზი, რომლის ძალით ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს წინადადება აქვსთ მიცემული, რომ მათ ქალაქებში რიგიანად განსაზღვრონ სამრევლოები. აწი, იმედია, მოისპობა ის უთანხმოება, რომელიც დღემდის ხშირად ხდებოდა ხოლმე ქალაქის სამღვდელოებაში.

## კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ.

ფრანკფურტის პოლიტეხნიკურს საზოგადოებაში ამას წინად ბიუხნერს საჯარო ლექცია წაუკითხავს სიცოცხლის სიხანგრძლივის შესახებ. თვით ლექტორი ამ ჟამად უკვე 66 წლისაა. პირველ ყოვლისა მან გამოაცხადა თურმე, რომ ქალები უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ კაცებზედა. მაგალითებრ, უკანასკნელ ხალხის აღწერიდგანა სჩანს, რომ მთელს გერმანიაში 3,330 დედაკაცი ყოფილა და კაცი კი მხოლოდ 2,055 ოთხმოც-და-ათს წელიწადს გადაცილებული. საზოგადოდ-კი 100 მამაკაცს მოხუცზედ 155 დედაკაცი მოხუცი მოდის. ქალები იმიტომ სძლებენ ხანგრძლივ, რომ არსებობისათვის ბრძოლა არ აწევთ ტვირთად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე ისიც, რომ უცოლონი იშვიათად მიაღწევენ ხოლმე მოხუცებამდე. ვისაც დიდხანს უნდა სიცოცხლე, ცოლი უნდა შეირთოს უეჭველად, და ამასთან რაც ადრე შეირთავს, მით უკეთესია. ამას გარდა სიცოცხლის სიხანგრძლივე გვარმაც იცის, მემკვიდრეობითმა თვისებამ. იმპერატორს ვილჰელმს ძნელად თუ იმდენს ხანს ეცოცხლა, ჰოგენცოლერნების გვარისა რომ არა ყოფილიყო. იმის წყალობით, რომ გრაფები მოსტიო-ფერეტტი ას-ას წელიწადს სცოცხლობენ, პაპა პია მე-IX, ამგვარის წევრმა 86 წლამდე იცოცხლა.

წმიდა ჰაერზედ მომუშავენი და მშრომელნი უფრო ხანგრძლივ სძლებენ, ვიდრე დახშულს ჰაერში მოჯაფენი. ქონებისა და ხელობის კვალობაზედ რომ გავარჩიოთ, აღმოჩნდება, რომ სამღვდელოება, ფულის პატრონნი და საზოგადოთ ისინი, რომელთაც დიდი ადგილი უჭირავთ, საშუალო რიცხვით, 65 წლამდე სცოცხლობენ, ვაჭრები—62 წ., სოფლელნი—61 წ., ჯარის-კაცნი—69 წ., გადამწერალნი და ვექილნი 58 წ., მხატვარნი და მწერალნი—57 წ., სკოლის მასწავლებელნი—56 წ., ექიმები—54 წ., ხოლო ხელოსნები და ქარხნებში მომუშავენი-კი 44 წელსაც ძლივს მიაღწევენ ხოლმე. ამიტომაც ვისაც ხანგრძლივ ჰსურს ამ ქვეყნად სიცოცხლით დატკბობა სამღვდელო კაცად ყოფნას უნდა ეტანებოდეს. ზონებით მშრომელი უფრო დიდხანს სცხოვრობს სხვა მუშა კაცზედ.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ, ლექტორის აზრით, ამ საუკუნეში ადამიანნი ორთაშუა რიცხვით, თითქმის ერთი ორად უფრო ხანგრძლივ სცოცხლობენ, ვიდრე აქამდე სცოცხლობდნენ. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ებრაელნი უფრო დიდხანს სძლებენ ქრისტიანებსა, მაჰმადიანებსა და კერპთ-თაყვანის-მცემლებზედ. ეს საოცარი ამბავი სარწმუნოების განსხვავებას-კა არ უნდა მიეწეროს, არამედ იმას, რომ ებრაელნი უფრო ზომიერად სცხოვრობენ და სიმთვრალე არ უყვართ. მთელს ევროპაში ჯანისათვის უფრო ის ადგილებია მარგებელი, სადაც ამიდმა ხშირად არ იცის ფერისცვლა და რომელიც ზღვას ახლოს მდებარეობს.

თუმცა საზოგადოდ სიკვდილს არავინ არის მოწადინებული, მაგრამ ადამიანი ვერ უფრთხილდება თავისს სიცოცხლეს ჯეროვანად. უმეტესად იგი თითონვე იმოკლებს სიცოცხლეს, ისწრაფებს ხანს ამ ქვეყნად ყოფნისას. მართალია, სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ხელოვნებაც არის ამ ქვეყნად, მაგრამ ეს ხელოვნება რომელისამე წამლის ხმარება-კი არ არის, არამედ ჰიგიენის და ჯანმრთელობის თანახმად ცხოვრებაა. ვენეციელი კორნარო, რომელმაც 104 წელიწადი იცოცხლა, ორმოცის წლიდგან დაწყებული მხოლოდ 72 მისხალს საჭმელსა და 84 მისხალს სასმელს ჰხმარობდა. სხვებს-კი, რომელთაც ხანგრძლივ იცოცხლეს, მაგალითებრ, ბრილსა და სავარენს, ძალიან უყვარდათ ჭამა-სმა. ასე რომ ამ მხრითაც ადამიანი ზომიერებას უნდა დაადგეს, არც მოიკლოს საჭმელი და არც მოიჭარბოს.

ისტორია და სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ადამიანს გაცილებით უფრო დიდხანს შეუძლიან ცხოვრება, ვიდრე ზოგიერთსა ჰგონია. ძველის ძველს ამბებსაც რომ არ მივმართოთ, ამის დასამტკიცებლად საკმაოა გავიხსენოთ, რომ 1635 წ. ინგლისში ერთი პატივცემული მოხუცი 150 წლისა გარდაიცვალა. ეს მოხუცი 120 წლისა როცა შესრულდა, ჯერ კიდევ ისეთს ჯანსა და ღონეზედ იყო, რომ მეორე ცოლი შეირთო. ერთმა ინგლისელმა ლორდმა სასახლეში მიიყვანა ეს მოხუცი, მაგრამ ეს კაცი სასახლის მშვენიერს სადილსა და საუკეთესო ღვინოს უჩვეული, მეტის-მეტად გამოძღა და ამან გადიტანა. ეს უბედურება რომ არ დამართოდა, ისეთის მკვიდრისა და ჯან-საღის აგებულებისა იყო, რომ შეიძლება ორმოციოდე წელიწადი კიდევ ეცოცხლა. ერთმა 142 წლის ნორვეგიელმა, რომელიც 1770 წ. დაიხრჩო თევზაობის დროს, 111 წლისამ შეირთო მეორე ცოლი, ისიც გამოიტირა და დაინიშნა ერთს თვრამეტის წლის ყმაწვილს ქალზედ, მაგრამ ქორწილს ველარ ელირსა და სწორედ ქორწინების წინა დღეს აღელვებულმა ზღვის ტალღებმა იმსხვერპლა. ასის წლის მოხუცი დედაკაცი და მამაკაცი ჩვენს დროსაც არ არის იშვიათი. მაგალითებრ, 1876 წ. ინგლისში 57 კაცი ას წელიწადს გადაცილებული ითვლებოდა და 592 კაცი ოთხმოც და თუთხმეტ წელიწადს.

## სასარგებლო ცოდნა.

«Наука и жизнь»-ში ერთი წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ როდის არის ხოლმე ბანაობა კაცისათვის სასარგებლო. მოგვყავს ამ წერილის შინაარსი:

თუ ჰაერის სიცხე რეომიურის 20 გრადუსამდის არის ჩამოსული, ღრუბლიანს ამინდში მაინც, არ უნდა იბანავოთ, რადგანაც ადვილად შეიძლება გაცივდეთ, თუ ძლიერი ქარი ჰქრის, ჰაერი 20 გრადუსზედაც რომ თბილი იყოს, არც მაშინ უნდა იბანავოთ, რადგანაც ქარი უცბად აშრობს და აცივებს სველს ტანს. ამიტომ როდესაც ტანის ბანვას გაათავებთ, იმ წამსვე ტილოთი უნდა გაიმშრალოთ ტანი.

ვისაც გულის ფრიალი აქვს, ან ფილტვები სტკივა, იმან სულაც არ უნდა იბანაოს. ჩახვალთ თუ არა წყალში, სხეულის ზედა-პირის ძარღვები შეგეკუმშებათ, სისხლი შიგნით გაიწევს და მიაწვება გულსა, ფილტვებსა, შიგნეულობასა, ტვინსა და სხ. ამიტომ გული უფრო ხშირად დაგიწყებსთ ცემას, ფილტვებიც უფრო ხშირ-ხშირად შეისუნთქ-გამოისუნთქავს ჰაერს, კუჭი და წლები უკეთ იწყებს მუშაობას ე. ი. უკეთ გადაჰხარშავს საჭმელს, თავი დაგიბრუვდება და სხ. მაგრამ თუ გულის ტკივილი გაქვს, ან ფილტვებისა, შეიძლება გულმა ცემა შესწყვიტოს, ან ფილტვის ძარღვი გაგიწყდეთ. და ერთ-ერთი ასეთი უბედურება-კი ძალიან საშიშარია სიცოცხლისათვის. გარდა ამისა შესაძლებელია, რომ ტვინის ძარღვიც გაგიწყდეთ და ამით დამბლით

ჩავარდეთ, გარდაიცვალოთ კიდეც. ამიტომ ვისაც გული და ფილტვები არა სტკივა და ვინც ყოველ მხრით ჯან-საღია, იმასაც სიფრთხილე ჰმართებს, და თუ წყალი 17 ან 20 გრადუსზედ უფრო ცივია, არ უნდა იბანაოთ. ცივს წყალში ბანაობას უნდა ერიდებოდნენ აგრეთვე საზოგადოდ სუსტი კაცები, დიეთები, ბავშვები და მოხუცებულები. ხუთ წლისაზე უმცროსებს სულაც არ უნდა აბანავებდნენ.

ჯან-საღმა კაცმა 24 წუთზედ მეტი არ უნდა დაჰყოს წყალში, ხოლო ავად-მყოფებმა, სუსტებმა, ბავშვებმა და მოხუცებულებმა კი არა უმეტეს ხუთის წუთისა.

ჩქარს წყალში უფრო ცოტა ხანს უნდა გაჩერდეს ადამიანი, ვიდრე ნელში, წყნარში, და ტბაში უფრო დიდხანს, ვიდრე მდინარეში საზოგადოდ. ამას გარდა რადგესაც ზღვა ჰდელავს, ძალიან ცოტა ხანი უნდა დაჰყო შიგ, ხოლო თუ დაწყნარებულია, მეტს ხანს შეგიძლიან იბანაო. საზოგადოდ-კი ზღვის წყალი უფრო ჰდალავს კაცს, ვიდრე მდინარისა, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ზღვაში 50-ჯერ უფრო მეტი მარილეულობა არის, ვიდრე მდინარეში.

ბანაობა ძალიან სასარგებლოა იმისათვის, ვინც ფერმკრთალია, ან ტანზე მუწუკი აქვს დაყრილი, ან ოფლი ძალიანა სდის და ან სულ არ ეკიდება. სასარგებლოა აგრეთვე იმისთვის, ვისაც თავის ტკივილი დაჩემებია, ან უნებლიედ სიცილი მოსდის ხოლმე, ან «პოხონდრია» სჭირს, ერთი სიტყვით, ვისაც ნერვების სისუსტე აქვს, თუ ქალიშვილს ეგრეთ წოდებული ქალწულებრივი უძლურება სჭირს, იმასაც ძალიან უხდება ბანაობა.

საუკეთესო დრო ბანაობისა დილაა უზმოზე და სადილობამდის. ზღვაში არც მზის ამოსვლამდის და არც ჩასვლის შემდეგ არ უნდა იბანაოთ. გამაძღარს არ არგებს ბანაობა. ნასადილევის სამ-ოთხ საათამდე არ უნდა ჩახვიდეთ წყალში. სუსტმა და ავადმყოფმა კაცმა, სანამ ტანს დაიბანდეს, დილას ერთი ჭიქა რძე, ჩაი, ან ყავა უნდა დალიოს.

---

## შეწირულება.

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაზოებლად ჩვენ გამოგვიგზავნა შეწირულება შემდეგმა პირმა:

| | |
|---|---|
| აზნაურმა ნიკო სიმონის ძე ჩიკვაიძემ | 20 მან. |
| შემოსული ფულები იყო . . | 175 მ. 78 კ. |
| სულ შესდგა . . | 195 მ. 78 კ. |

---


კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართა ქალაქ ქუთაისში

# კერძო სამკურნალო
## ს. ზ. თოფურიასი
### მოსულთა ავათმყოფთათვის
### მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავათმყოფობისათვის დანიშნულია ს. ზ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. ზავსეევი. საზებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კეიხელი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.


---


რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 14 Мая 1890 г.*
Типографія редакціи (И.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.